სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „საშემსრულებლო ხელოვნება“

მისაღები გამოცდების/შემოქმედებითი ტურების მოთხოვნები

სპეციალობა - „აკადემიური გუნდის დირიჟორობა“

შეფასება ხდება ასქულიანი (100) სისტემით; დადებითი შეფასებაა 81-100.
მისაღები გამოცდა სპეციალობაში ტარდება 2 ტურად.

პირველი ტური – საგამოცდო პროგრამის დირიჟორობა ორი როიალის თანხლებით;

გამოცდაზე უნდა შესრულდეს 4 ნაწარმოები (სირთულე III – IV კურსი):

- ორი a cappella ნაწარმოები;
- ერთი ნაწარმოები - საგუნდო პოლიფონია (ნაწილი კანტატიდან, ორატორიიდან ან მესიდან);
- ერთი ნაწარმოები - საოპერო სცენა.

შესასრულებელი პროგრამის ხანგრძლივობა - არანაკლებ 25-30 წუთისა.

აბიტურიენტს მოეთხოვება:

1. საგამოცდო პროგრამის დირიჟორობა ზეპირად;
2. გასაუბრება საგამოცდო პროგრამის ირგვლივ;
3. a cappella საგუნდო ნაწარმოებების პარტიტურების დაკვრა ფორტეპიანოზე – ნოტებით;
4. a cappella საგუნდო ნაწარმოებების საგუნდო პარტიების მღერა – ნოტებით.

შენიშვნა: პროგრამაში შესაძლებელია განმეორდეს სამი ნაწარმოები ბაკალავრიატში განვლილი კურსიდან.

მეორე ტური – გუნდთან მუშაობა უცხო ნაწარმოებზე - 30 წუთი.
აბიტურიენტს გამოცდამდე ერთი საათით ადრე ეძლევა უცხო ნაწარმოები a cappella შერეული გუნდისათვის შესასწავლად.